ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4120748

ნომერი: AR1621490

თარიღი : 07.08.2018

გაცემის თარიღი : 14.08.2018

გაცნობის თარიღი : 14.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N13ო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვერნაძე პ/ნ 01006006543
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 12 ბ. 56

ორგანიზაცია:

- შპს დომუსი კოდი: 404908864

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3996770
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.05.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილათქვენს მიერ ატვირთული დ ოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს მიერ დაყენებულ საკითხზე, პირველ რიგში საჭიროა დაასრულოთ ყველანაირი სამშენებლო, სალესი და სამღებრო სამუშაოები, კეთილმოწყობა- სპორტული მოედანი და ასევე მშენებლობა საჭიროა მოექცეს საპროექტო საკადასტრო საზღვრებში, რის დამადასტურებლადაც საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული წერილი;

ასევე საჭიროა წარმოაგინოთ:

1. ფოტომასალა მონიშვნით ,,ზ-თ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის ცხაური" ; ,,40.80 ნიშნულზე ბ-გ მონაკვეთში ,,ბ-ბ'' ღერძზე ნაწილობრივ გაუქმებულია მოაჯირი'' და ,,63,90დან 73.80 ნიშNულის ჩთვლით ,,ლ-მ" მონაკვეთში გაუქმებულია მოაჯირები";

2. კონსტრუქციული დასკვნა დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის თაობაზე;

3. ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული ანაზომი: -3.30; 0.00 და +4,50 ნიშნულების - პანდუსების გაბარიტული ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით, ფართების მითითებით. 0,00 ნიშნულის ანაზომზე - კეთილმოწყობის და გამწვანების ფართების დაფიქსირებით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.
საკითხის კვლავ ხარვეზით შემობრუნების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.